ერთობლივი მოქმედება ერთმანეთის გასაძლიერებლად

სინერგია

ორშაბათი, 27 თებერვალი, 2012

რეზონანსის ყოველთვიური დამატება

№12

ნეიტრალური დოკუმენტები კონფლიქტის ზონების მოსახლეობისთვის:

რა პერსპექტივა აქვს ქართულ პროექტს?

მარი ოთარაშვილი

„ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები, რომელსაც საქართველო კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას სთავაზობს, ხელს უწყობს მათ თავისუფალ გადაადგილებას. ეს დოკუმენტები შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართალთან და ამ ინიციატივით საქართველო თავის სუვერენიტეტს ახორციელებს“, – განაცხადეს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე.

შეხვედრას უძღვებოდნენ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი – ნოდარ ტანგიაშვილი და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი – თამარ ქოჩორაძე.

როგორც **თ. ქოჩორაძემ** „სინერგიასთან“ საუბრისას განმარტა, ნეიტრალური დოკუმენტი ორი სახისაა: ნეიტრალური პირადობის მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო მოწმობა. ნეიტრალური პირადობის მოწმობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზებისა და ოსებისთვის იძლევა ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სხვადასხვა სოციალურ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობას; ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი კი იძლევა თავისუფალი გადაადგილების საშუალებას საზღვარგარეთ – იმ ქვეყნებში, რომელთა მიერ ეს დოკუმენტი აღიარებულია.

ამ დროისთვის კი დოკუმენტები აღიარებულია იაპონიის, ჩეხეთის, ლატვიისა და ლიტვის მიერ.

ნეიტრალური დოკუმენტების მიღება შეუძლიათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე და არ არიან საქართველოს მოქალაქეები.

ნეიტრალური დოკუმენტის მიღების მსურველს შეუძლია, განაცხადის გაკეთებისას, სამოქალაქო რეესტრში წარადგინოს ყოფილი სსრკ-ის პასპორტი, ან ამ პასპორტით იდენტიფიცირებული დოკუმენტები; ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაცემული ცნობა; ასევე, აფხაზეთში მოქმედი სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდა ამისა, შეუძლიათ, წარადგინონ ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა და არის იმის დასტური, რომ მისი მფლობელი ცხოვრობს ან აფხაზეთში, ან – სამხრეთ ოსეთში.

თუკი დოკუმენტის მიღების მსურველი არასრულწლოვანი პირია, უნდა მოხდეს მშობლის მიერ იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელიც დაამტკიცებს, რომ ის ნამდვილად ბავშვის მშობელია.

თამარ ქოჩორაძე: „ვისაც ნეიტრალური პირადობის მოწმობის, ან ნეიტრალური სამგზავრო მოწმობის აღება სურს, უნდა მიმართოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს, რომლებიც განთავსებულია ზუგდიდში, გორში, მცხეთასა და თბილისში. განაცხადის შეტანა, ასევე, შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში – სამოქალაქო რეესტრის ვებ-გვერდის მეშვეობით. გარდა ამისა, განაცხადის წარდგენა შეუძლია მინდობილ მესამე პირს. ამ პროცედურის გავლის შემდეგ, მფლობელს შეუძლია დოკუმენტი პირადად, ან – მესამე პირის მეშვეობით აიღოს“.

აპარატის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ, ვინაიდან განაცხადი არ არის საჯარო დოკუმენტი, დაცულია იმ პირების ანონიმურობა, რომლებიც, დოკუმენტის მიღების შემდეგ, სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში ფიქსირდებიან.

დასასრული მე-2 გვერდზე

გვაცლოვს აფხაზეთი?

ივლიანე ხაინდრავა: „საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ბრიუსელთან თავისი პოლიტიკის ჰარმონიზაცია, თუ მას არ სურს აფხაზეთის რუსეთთან ერთი ერთზე დატოვება“

(იხეჭდება შემოკლებით)

ევროკავშირმა შეიმუშავა არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა (NREP), რომლის ორი ცენტრალური დებულებაა კონფლიქტების ტრანსფორმაცია და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დეიზოლაცია. ორივე დებულება ლოგიკურია: არსებულ ვითარებაში კონფლიქტების საბოლოო მოგვარებაზე საუბარი არარეალისტურია, ხოლო ტრანსფორმაციაში ჩაქსოვილი დეიზოლაცია რუსეთის მიერ აფხაზეთის ჩაყლაპვის საწინააღმდეგო ზომადაა მიჩნეული. თუმცა სწორედ დეიზოლაციის საკითხში ვლინდება ზემოხსენებული აცდენა ქართულ და ევროპულ მიდგომებს შორის. ოფიციალური თბილისის პოზიციაც დეიზოლაციას გულისხმობს, ოღონდაც დანარჩენი საქართველოს მიმართულებით და მხოლოდ და მხოლოდ თბილისის გავლით გარე სამყაროსკენ. ბრიუსელის მიდგომის თანახმად კი შესაძლებელია აფხაზეთის დეიზოლაცია გარე სამყაროსგან უშუალოდ, ანუ თბილისზე გაუვლელად. ცხადია, ბრიუსელი აპირებს თბილისის ინფორმირებას შესაბამისი ინიციატივების შესახებ და მათ შეთანხმებას, როცა ეს შესაძლებელია (და როცა გაუჩნდება შესაბამისი სამოქმედო გეგმა), თუმცა ოფიციალური თბილისისთვის ვეტოს უფლების მინიჭება ევროკავშირის გეგმებში არ შედის. ცხადია ისიც, რომ ბრიუსელი ხელს შეუწყობს დანარჩენი საქართველოსგან აფხაზეთის თვითიზოლაციის დაძლევას, თუმცა მკაფიო გზები და ინსტრუმენტები ამ მიზნის მიღწევისა ჯერ არ გამოკვეთილა. თანაც, სოხუმი არ ამჟღავნებს შესაბამის სურვილს, ხოლო თბილისი – უნარს. ამდენად, საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ბრიუსელთან თავისი პოლიტიკის ჰარმონიზაცია, თუ მას არ სურს აფხაზეთის რუსეთთან ერთი ერთზე დატოვება.

2008 წლის მოვლენების შემდეგ ქართულ-აფხაზური / ქართულ-ოსური კონფლიქტი ამოვარდა ოფიციალური თბილისის რიტორიკიდან (2011 წლის 11 თებერვალს პარლამენტში საათნახევრიანი სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტ სააკაშვილს არც ერთხელ არ უხსენებია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) და აქცენტი რუსეთის მიერ აფხაზეთის დეოკუპაციაზე კეთდება). დეოკუპაციის მოთხოვნა, ბუნებრივია, უნდა დარჩეს დღის წესრიგში, მაგრამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დავიწყება, საქმის ისე წარმოჩენის მცდელობა, თითქოს საკმარისი იყოს აფხაზეთიდან რუსული ჯარებისა და მესაზღვრეების გაყვანა და კონფლიქტიც თავისთავად მოგვარდება, ყალბი მიდგომაა. დეოკუპაცია კონფლიქტის მოგვარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ამიტომ საჭიროა ორმხრივ ფორმატში ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენა/განვითარება ყველა დონეზე, მათ შორის აფხაზეთის ოლოგზე გასასვლელად. აფხაზეთში არჩევნების ლეგიტიმურობის არაღიარება დიახაც თანხვედრაშია ზოგადად არაღიარების პოლიტიკის არსთან, თუმცა საქმის იმგვარად წარმოჩენის მცდელობა, თითქოს არჩევნების შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, არასერიოზულია. სხვა თუ არაფერი, ამ საუკუნეში ევროპაში ოფიციალურ დიალოგს თან უნდა ახლდეს (თუ შესაძლებელია, წინ უძღოდეს) კონფლიქტის ტრანსფორმაციის სურვილის არსებობის დამადასტურებელი კონკრეტული ქმედებები (დასაწყისში, თუნდაც ცალმხრივი). თუ მართლაც გვინდა, რომ აფხაზებმა ჩვენი მედიცინის, განათლების და სხვა სიკეთეებით ისარგებლონ (სწორედ ეთნიკურმა აფხაზებმა და არა მხოლოდ გალელმა ქართველებმა), რატომ არ უნდა მივცეთ მათ ამის შესაძლებლობა საკუთარი (აფხაზური) საბუთების საფუძველზე? რატომ არ უნდა მივცეთ მათ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების ლეგალური შესაძლებლობა საკუთარი დოკუმენტებით, საკუთარი ავტომანქანებით, რომლებსაც აფხაზური სანომრე ნიშნები ექნება? ნუთუ საბუთი მართლაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანი? ადამიანი, რომლის ჩვენს სივრცეში დაბრუნება გვინდა?

> „ეთნიკურ აფხაზებს ჩვენი მედიცინის, განათლების და სხვა სიკეთეებით ისარგებლონ (სწორედ ეთნიკურმა აფხაზებმა და არა მხოლოდ გალელმა ქართველებმა), რატომ არ უნდა მივცეთ მათ ამის შესაძლებლობა საკუთარი (აფხაზური) საბუთების საფუძველზე? რატომ არ უნდა მივცეთ მათ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების ლეგალური შესაძლებლობა საკუთარი დოკუმენტებით, საკუთარი ავტომანქანებით, რომლებსაც აფხაზური სანომრე ნიშნები ექნება? ნუთუ საბუთი მართლაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანი? ადამიანი, რომლის ჩვენს სივრცეში დაბრუნება გვინდა?“

ნეიტრალური დოკუმენტები კონფლიქტის ზონების მოსახლეობისთვის:

რა პერსპექტივა აქვს ქართულ პროექტს?



ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ნიმუშები

დასასრული

თ. ქოჩორაძე: „გარანტი იმისა, რომ ამ დოკუმენტის ამღების ვინაობა სახელმწიფოს მხრიდან არ გამჟღავნდება, ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობაა: სამოქალქო რეესტრის შიდა ბაზა აბსოლუტურად დახურულია და იქიდან ინფორმაციის გაცემა არ ხდება; ასევე, არსად ფიქსირდება, თუ ვინ რა სახის დოკუმენტი აიღო. თუკი მფლობელი დოკუმენტს დაკარგავს, ამის შესახებ მან სამოქალქო რეესტრში უნდა განაცხადოს. ამ განაცხადის მიხედვით, წინა დოკუმენტის ანულირება მოხდება. ახალი დოკუმენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი დამზადება და გაცემა 10 დღის ვადაში მოხდება“.

პირადობის ნეიტრალური მოწმობის ღირებულება 10 ლარია, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტისა კი - 35 ლარი.

საქართველოს ხელისუფლებამ ნეიტრალური დოკუმენტების გაცემა 2011 წლიდან დაიწყო. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, ამ დროისთვის 54 ნეიტრალური მოწმობა და 6 ნეიტრალური სამგზავრო პასპორტია გაცემული. დოკუმენტები ამჯერად, ძირითადად, აფხაზეთში მაცხოვრებლებს აქვთ აღებული. სამხრეთ ოსეთიდან ასეთი სურვილი, ჯერჯერობით, არავის გამოუხატავს.

დოკუმენტს, რომელიც მწვანე ფერის არის და 13 ფურცლისგან შედგება, არანაირი ქართული სიმბოლიკა არ აქვს. აქ ერთადერთი გამონაკლისი ქართული კოდი GEO-ა. როგორც ქოჩორაძემ განმარტა, ეს კოდი იმისთვის არის აუცილებელი, რომ მფლობელმა საზღვარგარეთ გასვლა მოახერხოს.

„ქვეყნისთვის, სადაც ამ დოკუმენტის მფლობელი მიდის, საჭიროა იმის ცოდნა, თუ რომელი სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას ამ დოკუმენტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას საზღვარზე ვერ გაატარებს“, - განაცხადა ქოჩორაძემ.

ისტორიკოსი, პროფესორი **გია ანჩაბაძე** კი მიიჩნევს, რომ სწორედ ქართული კოდი შეიძლება აღმოჩნდეს საჩოთირო ფაქტორი აფხაზებისა და ოსებისთვის, რადგან ამის გამო დოკუმენტი, მათ თვალში, ნეიტრალური ვეღარ იქნება:

„ეს დოკუმენტი აფხაზებისა და ოსებისთვის თავისუფალი გადაადგილების საშუალებას იძლევა, მაგრამ ვინაიდან იგი საქართველოსთან არის დაკავშირებული (ეს კი, თუნდაც, დოკუმენტში გამოსახული საქართველოს კოდით ჩანს), ვფიქრობ, მას ბევრი არ აიღებს. ეს კოდი აფხაზებსა და ოსებს აფიქრებინებს, რომ აღნიშნული პასპორტი ნეიტრალური არ არის. მართალია, აფხაზეთში მაცხოვრებლებმა ეს დოკუმენტი აიღეს, მაგრამ ასეთები ბევრნი არ არიან“.

ანჩაბაძის მოსაზრებითვე, უმჯობესი იქნებოდა, თუკი ამ დოკუმენტებს გაერო, ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია გასცემდა.

კონფლიქტოლოგ **გიორგი ხუციშვილის** აზრით, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი მნიშვნელოვანი წამოწყებაა, თუმცა, არსებულ პირობებში, ამ იდეას სრულად განხორციელების პერსპექტივა არ აქვს:

„თავის დროზე, ეს პროექტი აფხაზებისა და ოსებისთვის იყო ჩაფიქრებული, რომელშიც არსად იქნებოდა მითითებული, რომ ეს არის საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი; ეს უნდა ყოფილიყო საერთაშორისო სტატუსის მქონე დოკუმენტი. შესაბამისად, აფხაზებისა და ოსებისთვის იგი მიმზიდველი იქნებოდა და შეიძლებოდა კიდეც, რომ მას რუსული პასპორტები ჩაენაცვლებინა“. ხუციშვილი ამბობს, რომ ამ დროისთვის ქართული ნეიტრალური დოკუმენტი, ძირითადად, იმ კატეგორიას აქვს აღებული, ვისაც რუსული პასპორტი არ აქვს და, შესაბამისად, საზღვარგარეთ წასვლა მათთვის პრობლემურია.

„როგორც საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტრო ამტკიცებს, ამ დოკუმენტებს არანაირი პოლიტიკური დანიშნულება არ აქვს და მისი მიზანია, აფხაზებსა და ოსებს გადაადგილებაში დაეხმაროს“, - აცხადებს ხუციშვილი, მაგრამ, როგორც ის ამბობს, ეს პროექტი გაუთვალისწინებელ სიძნელეებს წააწყდა:

„ჯერ ერთი, აფხაზების უმრავლესობას რუსული პასპორტი აქვს და ამ პასპორტით შეუძლიათ, საზღვარგარეთის ქვეყნებში იმგზავრონ. გარდა ამისა, ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტებს რუსეთის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა აქვს: რუსეთი დაინტერესებულია, რომ აფხაზებმა და ოსებმა საზღვარგარეთ სწორედ რუსული პასპორტებით იმგზავრონ.

საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნული პროექტი 90-იან წლებში რომ წარმოედგინა (მაშინ, როცა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული პასპორტი გავრცელებული არ იყო), ბევრად უკეთესი იქნებოდა; მაშინ პოლიტიკურად სრულიად სხვა განწყობა იყო; მაშინ აფხაზები და ოსები ამბობდნენ: ჩვენ ვინ მოგვცემს დამოუკიდებლობას, გვინდა თუ არა, საქართველოსთან გაერთიანება მოგვიწევსო. იმ პირობებში ეს დოკუმენტი პერსპექტიული იქნებოდა. ახლა, ვინაიდან რუსეთმა თავისი პასპორტები დაარიგა, ქართული პროექტი უკვე დაგვიანებულად მეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ პროცესი ძალიან ნელა და რთულად მიმდინარეობს“.

ხუციშვილის თქმით, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს უკვე გამოცხადებული აქვს, რომ ქართულ ნეიტრალურ პასპორტს არ ცნობს. ის თავის მოქალაქეებს არ უკრძალავს, მაგრამ მკაცრად აფრთხილებს, რომ ამ დოკუმენტით არ ისარგებლონ.

კონფლიქტოლოგი აღნიშნავს, რომ ნეიტრალური დოკუმენტები და, საერთოდ, ქართული მხარის მიერ ამ მიმართულებით შემუშავებული ყოველგვარი პროექტი პერსპექტიული მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუკი მხარეებს შორის ურთიერთობების ფონი შეიცვლება.

> „გიორგი ხუციშვილი: ეს პროექტი გაუთვალისწინებელ სიძნელეებს წააწყდა“.

> „გია ანჩაბაძე: „საქართველოს კოდი აფხაზებსა და ოსებს აფიქრებინებს, რომ აღნიშნული პასპორტი ნეიტრალური არ არის“.

> გიორგი ხუციშვილი: „ნეიტრალური დოკუმენტები და, საერთოდ, ქართული მხარის მიერ ამ მიმართულებით შემუშავებული ყოველგვარი პროექტი პერსპექტიული მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუკი მხარეებს შორის ურთიერთობების ფონი შეიცვლება“.

გაუქმდა თუ არა დევნილთა შეღავათი ელექტროენერგიაზე?

იმ დევნილებს, რომელთაც საცხოვრებელი სახლები საკუთრებაში გადაეცათ, ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათი 2012 წლის იანვრიდან მოეხსნათ, - ამტკიცებს საპარლამენტო უმცირესობა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, დევნილებს შეღავათები არ გაუქმებიათ, უბრალოდ, ინდივიდუალური გამრიცხველიანების დასრულების გამო, სახელმწიფო სახსრების გადაანგარიშება მოხდა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ლაშა თორდიას სიტყვებით, იმ დევნილებს, რომელთაც სახელმწიფომ საკუთრებაში გადასცა საცხოვრებელი ფართები და სადაც ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი დასრულდა, ელექტროენერგიის შეღავათი კი არ გაუუქმდათ, როგორც ამას საპარლამენტო ოპოზიცია, მისი თქმით, ზედაპირულად ამტკიცებს, არამედ სახელმწიფომ სახსრები გადაიანგარიშა. თუ აქამდე 28-ლარიან შემწეობას ის დევნილები იღებდნენ, რომლებიც არაორგანიზებულად იყვნენ ჩასახლებული, ხოლო 22-ლარიან შემწეობას იღებდნენ კომპაქტურად ჩასახლებულები, ამ უკანასკნელთათვისაც შემწეობა 28 ლარამდე გაიზარდა, საიდანაც 6 ლარი ელექტროენერგიის საფასურის გადახდას მოხმარდება.

„მას შემდგომ, რაც ამ ადამიანებს სახელმწიფომ კერძო საკუთრებაში გადასცა საცხოვრებელი სადგომები, რაც მოხდა ამ სახლების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, მას შემდგომ მოხდა სახსრების გადათვლა და ამ ადამიანებს პირდაპირ გადაეცემათ ეს თანხები, ანუ 22-ლარიანი შემწეობა, რომელიც ჰქონდათ მათ დანიშნული, გახდა 28 ლარი, რაც აქამდეც ჰქონდათ კერძო სექტორში ჩვენს დევნილებს“.

ლაშა თორდიას ამ არგუმენტს არ იზიარებს „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი ახვლედიანი. რადგან აქამდე სახელმწიფო დევნილებს თვესი ერთ სულზე 100 კილოვატ / საათი უფასო ელექტროენერგიის მოხმარების საშუალებას აძლევდა, მისი სიტყვებით, სწორედ ეს შეღავათი გაუუქმა სახელმწიფომ კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს. გიორგი ახვლედიანის განცხადებით, 100 კილოვატი ელექტროენერგია 17 ლარი ღირს, რაც 6 ლართან თანხვედრაში ვერ მოდის:

„მათ გამოაცხადეს, რომ 28 ლარი იქნება 22 ლარის ნაცვლად დევნილთა კომპენსაცია, ანუ 6 ლარი, რომელსაც სახელმწიფო იხდიდა ყოველთვიურად, დევნილისთვის ელექტროენერგიის კომპენსაციას აღარ გადაიხდის და გადასცემს ამას დევნილს, მაგრამ, უკაცრავად და, 100 კილოვატი ელექტროენერგია ჩვენს ქვეყანაში 17 ლარი ღირს. შესაბამისად, 6 ლარი ვერანაირად ვერ იქნება საკმარისი. თანაზომიერი კომპენსაცია 17 ლარია“.

გიორგი ახვლედიანის სიტყვებით, იმ დევნილებისთვის, რომელთაც სახელმწიფომ ახალი საცხოვრებელი ფართები გამოუყო, ასეთი შეღავათის გაუქმება დიდ პრობლემებს ქმნის, რადგან ახალი ჩასახლებები მეტწილად გაზიფიცირებული არ არის და გათბობის ერთადერთ საშუალებად სპირალიანი ელექტროღუმელი რჩება, რაც ძალიან ბევრ ელექტროენერგიას ხარჯავს.

ამ პრობლემაზე ამახვილებდა ყურადღებას საპარლამენტო სესიაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერი, „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაიაც:

„ჩვენ ვხედავთ ერთ რაღაცას, დევნილს მისცეს საცხოვრებელი სახლი, მაგრამ არ მოხდა ამ დევნილის უზრუნველყოფა სამუშაო ადგილით, არ მოხდა მისი საბოლოო ინტეგრაცია საზოგადოებაში და ეუბნებიან, არც დახმარებას მიიღებ, არც სამსახური გაქვს და არც ელექტროენერგია გექნებაო. რითი დაფაროს ის ხარჯები, რომლებიც მას აქვს“?

იმ დევნილების განცხადებით, რომელთაც საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში აქვთ გადაცემული, ელექტროენერგიის შეღავათის შემცირება მართლაც რეალური პრობლემაა. ამ საკითხთან დაკავშირებულ გულისტკივილზე საუბრობენ წეროვანში ჩასახლებული დევნილებიც:

„დევნილები ვართ, გაჭირვებული ხალხი ვართ. ეს დენის შეღავათი გვქონდა, არა გვიშავდა. ისიც მოგვიხსნა თუ რა ქნა... ნება იბოძოს და ისევ ისე მოგვცეს.

არავინ არ მუშაობს, ოჯახიდან ერთი წევრი მუშაობს მარტო, ორი პატარა ბავშვი მყავს და სიცივით ხომ არ მოვკლავ. ჭორი გავარდა, რომ 6 ლარს გიმატებენო თითო სულზე. 13 ლარი იყო და სად 13 ლარი და სად 6 ლარი. თუმცა ამ მთავრობისგან ეგეც რაღაცაა. ჩვენც ცოდოები ვართ და ვინმემ მოგვხედოს“.

რადიო „თავისუფლებამ“ ამ თემაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროს პოზიციის გაგება ვერ მოახერხა, რადგან ვერც ერთ პასუხისმგებელ პირთან დაკავშირება ვერ შევძელით - ისინი სატელეფონო ზარებს არ პასუხობდნენ.

ნინო ხარაძე
რადიო „თავისუფლება“
19 თებერვალი, 2012

გიორგი ვოლსკი: „პირველი ამოცანა კონფლიქტების ტრანსფორმაციაა“

„ხელისუფლება კონფლიქტის მხარეებად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ფაქტობრივად, არ მიიჩნევს“

მარი ოთარაშვილი

„ნეიტრალური დოკუმენტების იდეა მისასალმებელია. მაგრამ ამას ეფექტი მხოლოდ მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმებების შემთხვევაში ექნება. გულწრფელად მსურს, რომ ეს დოკუმენტები ლეგიტიმურად სცნონ ევროკავშირის ქვეყნებმა, მაგრამ თუკი ეს ცალმხრივად მოხდება, არსებობს დოკუმენტების მიმღებთა მიმართ რეპრესიების განხორციელების საშიშროება. ასეთი დოკუმენტების მასობრივად გავრცელების შესაძლებლობა რომ დავუშვათ კიდეც, იქვე უნდა დავუშვათ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის ადმინისტრირების გაძლიერება“, - აცხადებს „სინერგიასთან“ საუბრისას კონფლიქტოლოგი გიორგი ვოლსკი.

- როგორია კონფლიქტების მოგვარების შესახებ კონფლიქტოლოგ-ექსპერტთა ჯგუფის გეგმა, რომელსაც თქვენ „ქართულ ოცნებაში“ ხელმძღვანელობთ? რაში მდგომარეობს თქვენი სტრატეგია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით?

- უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ უახლესი გეგმა-კონცეფცია ამ მიმართულებით, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა უნდა გამოაქვეყნოს, სრულყოფილად ჩამოყალიბებული ჯერ არ არის, ანუ ყველა კომპონენტს არ მოიცავს. სწორედ ახლა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქართველ ექსპერტებთან, ასევე, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან კონსულტაციები მიმდინარეობს.

- კონსულტაციები - კონკრეტულად, რა საკითხების გარშემო?

- „ქართულ ოცნებაში“ ჩვენს თემატურ ჯგუფს 1200-ზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ისინი ამ ჯგუფის მუშაობით განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი და მრავალ შეკითხვაზე ელოდებიან პასუხს. უახლეს მომავალში რეგიონებში გასვლასაც ვაპირებთ - კონცეფციის გარკვეული მონახაზის წარსადგენად.

- რა არის ამ მონახაზის ძირითადი კომპონენტები?

- ეს არის პრინციპები, რომელიც არ შეიცვლება. კერძოდ, არანაირი კომპრომისი არ იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით. ასევე - არანაირი კომპრომისი სეპარატისტულ რეგიონებში უცხო სამხედრო ძალების - საოკუპაციო ჯარების არსებობასთან დაკავშირებით. მთავარი პრინციპი არის ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური თანამეგობრების მონაწილეობით უნდა დაიწყოს დიალოგი რეგიონებთან და რუსეთთან.

პირველი ამოცანა კონფლიქტების ტრანსფორმაციაა. პროცესები ისე უნდა განვითარდეს, რომ გაჩნდეს ურთიერთობისა და ნდობის აღდგენის საშუალება ომით გახლეჩილ აფხაზურ, ოსურ და ქართულ საზოგადოებებს შორის.

- ამ პრინციპების განხორციელება როგორ წარმოგიდგენიათ?

- მიმდინარეობს კონსულტაციები. შედეგად, ჩამოყალიბდება დოკუმენტები, რომელთა გარშემო გაიმართება დაინტერესებულ პირთა და საექსპერტო საზოგადოების მსჯელობა. საჭირო, ჩამოვაყალიბოთ ისეთი კონცეფცია, რომლის ავტორიც იქნება არა მარტო რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების ვიწრო ჯგუფი (თუნდაც, ეს „ქართული ოცნება“ იყოს), არამედ საზოგადოების, რაც შეიძლება, დიდი ნაწილი, რომლის წარმომადგენლებსაც შეიძლება გააჩნდეთ განსხვავებული მოსაზრება, განსხვავებული ხედვა.

გიორგი ვოლსკი: „საქართველოს ხელისუფლების მთელი ძალისხმევა რუსეთის ლანძღვაზეა კონცენტრირებული. ასეთ პირობებში კი მხოლოდ რუსეთი გრძნობს თავს კომფორტულად და ნაბიჯ-ნაბიჯ აძლიერებს თავის პოზიციებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე“.

> „ეს არის პრინციპები, რომელიც არ შეიცვლება. კერძოდ, არანაირი კომპრომისი არ იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით. ასევე ც არანაირი კომპრომისი სეპარატისტულ რეგიონებში უცხო სამხედრო ძალების – საოკუპაციო ჯარების არსებობასთან დაკავშირებით. მთავარი პრინციპი არის ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური თანამეგობრების მონაწილეობით უნდა დაიწყოს დიალოგი რეგიონებთან და რუსეთთან“.

- საქართველოს ხელისუფლებას აქვს თავისი ხედვა-სტრატეგია კონფლიქტებთან მიმართებით, რაც რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშუალებით ოფიციალურად წარმოადგინა კიდეც. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?

- ხელისუფლებას ვუწუნებთ იმას, რომ ის კონფლიქტის მხარეებად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ფაქტობრივად, არ მიიჩნევს; ხელისუფლება არ აღიარებს იმ ფაქტს, რომ კონფლიქტის მონაწილენი არიან აფხაზები და ოსები, რომ მათაც დაკარგეს ოჯახის წევრები; ამბობს, რომ კონფლიქტი გვაქვს მხოლოდ რუსეთთან. მართალია, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით ჟენევის ფორმატში დიალოგი მიმდინარეობს, მაგრამ დღეს საქართველოს ხელისუფლებას არც რუსეთთან, არც აფხაზეთთან და არც ოსეთთან შედეგიანი მოლაპარაკების არანაირი რესურსი არ გააჩნია. პირდაპირ დიალოგზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. აქედან გამომდინარე, რიტორიკა კვლავ აგრესიული რჩება და ფაქტობრივად, ლაპარაკის გარდა, არაფერი კეთდება. დაწესებული შეზღუდვების, ე.წ. მოდალითის გამო სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა პრაქტიკულად განუხორციელებელია. ამის შეახებ ჩვენს მოსაზრებებს საექსპერტო ჯგუფში, დეტალურად, უახლოეს პერიოდში ჩამოვაყალიბებთ.

> „მიმდინარეობს კონსულტაციები. შედეგად, ჩამოყალიბდება დოკუმენტები, რომელთა გარშემო გაიმართება დაინტერესებულ პირთა და საექსპერტო საზოგადოების მსჯელობა. საჭიროა, ჩამოვაყალიბოთ ისეთი კონცეფცია, რომლის ავტორიც იქნება არა მარტო რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების ვიწრო ჯგუფი (თუნდაც, ეს „ქართული ოცნება“ იოს), არამედ საზოგადოების, რაც შეიძლება, დიდი ნაწილი“.

- კონფლიქტის მოგვარების პროცესში, არასამთავრობო სექტორმა რა როლი შეიძლება შეასრულოს?

- არასამთავრობო სექტორს, სახალხო დიპლომატიას წამყვანი როლი უნდა დაეკისროს. თუნდაც, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით მიმდინარე პროექტები ავიღოთ, რომელსაც ქსელ „სინერგიის“ წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ: ნათლად ჩანს, თუ როგორი პოტენციალი აქვს ამ მიმართულებას. ამ ფორმატით მიმდინარე დიალოგში ჩართულები არიან აფხაზები და ქართველები. კონფლიქტის მხარეთა შორის დიალოგი სამოქალაქო სექტორის დონეზე მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს. როდესაც ტერმინ მხარეებს ვიყენებ, რასაკვირველია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეებში არ ვგულისხმობ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს. თითქოს ამის ხაზგასმა არც უნდა იყოს საჭირო, მაგრამ ვითვალისწინებ ინტერპრეტაციისა და ბინძური პროპაგანდის მეთოდებს, რომელსაც სახელისუფლებო მედია ჩვენ წინააღმდეგ მიმართავს. ხელისუფლება თავად ვერ ახერხებს, მკვდარი წერტილიდან დაძრას პროცესები და ისღა დარჩენია, ოპონენტის მოსაზრებები უკუღმა წარმოადგინოს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება საზოგადოებისათვის დეტალური განმარტებების მიცემა კონფლიქტის პროცესის განვითარების საკითხებზე. კონფლიქტის მოგვარებისა და დეოკუპაციისათვის ზრუნვა სულაც არ ნიშნავს იმას, რასაც ხელისუფლება დღეს აკეთებს.

> „როდესაც ტერმინ „მხარეებს“ ვიყენებ, რასაკვირველია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეებში არ ვგულისხმობ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს. თითქოს ამის ხაზგასმა არც უნდა იყოს საჭირო, მაგრამ ვითვალისწინებ ინტერპრეტაციისა და ბინძური პროპაგანდის მეთოდებს, რომელსაც სახელისუფლებო მედია ჩვენ წინააღმდეგ მიმართავს“.

- რას გულისხმობთ?

- რიტორიკული განცხადებებით ხელისუფლება მუშაობის ილუზიას ქმნის. მთელი მისი ძალისხმევა რუსეთის ლანძღვაზეა კონცენტრირებული. ასეთ პირობებში კი მხოლოდ რუსეთი გრძნობს თავს კომფორტულად და ნაბიჯ-ნაბიჯ აძლიერებს თავის პოზიციებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ფაქტობრივად კი, რაიმე სტრატეგია, რაიმე რეალური რესურსი იმისა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებს უსაფრთხოების ალტერნატიული ფორმატი შესთავაზოს, საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია. არც ერთი მხარე აგვისტოს მოვლენებით კმაყოფილი არ არის. როგორც აფხაზები, ასევე ოსები გრძნობენ იმ საფრთხეს, რაც მათ ამ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ძალების არსებობამ შეუქმნა. ისინი გრძნობენ, რომ ნელ-ნელა სერიოზულდ მოექცნენ რუსული ჩექმის ქვეშ. რასაკვირველია, რუსეთს სამხრეთ კავკასიაში თავისი სტრატეგიული მიზნები აქვს და სწორედ ამიტომაც აძლევდა ხელს აგვისტოს ომიც, რისი თავიდან აცილებაც საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო. ამ მომენტის დადგომის შესახებ აფრთხილებდა აშშ-ს ადმინისტრაცია საქართველოს ხელისუფლებას, რომ არ ჩაედინა რაიმე სისულელე/ (ეს ციტატაა). ამის შესახებ წერს კიდეც კონდოლიზა რაისი თავის მემუარებში.

უფრო მეტსაც გეტყვით - ეს გაფრთხილებები არ ყოფილა მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომამდე ახლო პერიოდში; ამ გაფრთხილებებს ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, განსაკუთრებით კი 2006 წლის ივლისის შემდეგ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ იმ შეთანხმებების, ფაქტობრივად, „წყალში გადაყრა“ დაიწყო, რომლებიც აფხაზებთან და ოსებთან საერთაშორისო დახმარებით იქნა მიღწეული. აღსანიშნავია გაეროს უშიშროების საბჭოს 2006 წლის ოქტომბრის რეზოლუციაც, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, თავი დაანებოს საომარ რიტორიკასა და პროვოკაციებს. ასეთი გაფრთხილებებითა და რიტორიკით მოვედით 2008 წლის აგვისტომდე. შემდეგ რუსეთმა თუ ისარგებლა ჩვენი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომებით, ეს აღარ არის გასაკვირი. ახლა ვიძახოთ, რუსებს აგრესიული გეგემები ჰქონდათ, თუ არა?! ყველაფერმა ამან გაამყარა აფხაზებისა და ოსების უნდობლობა საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ამიტომაც არის, რომ ჟენევაში არც ერთი შეხვედრა დღემდე შედეგის მომტანი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, პროცესი წინ არ მიდის.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალ პოლიტიკურ ძალას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დანაშაულებითა და შეცდომებით დამძიმებული შლეიფი არ მოჰყვება. ამ შლეიფის გარდა კი, ახალმა ძალამ მხარეებთან მოლაპარაკების სისტემის ჩამოყალიბება უნდა შეძლოს. არსებობს საამისო ძალაც და გამოცდილებაც. არსებობს საერთაშორისო პრაქტიკაც.

დასასრული
მე-4 გვერდზე

ფოცხო-ეწერში საბავშვო ბაღი გაიხსნა

ბაღის გახსნის ინიციატივით დევნილთა დასახლების მაცხოვრებლებმა რამდენჯერმა მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას და შედეგს მიაღწიეს

ფოცხო-ეწერის მოსახლეობის მოთხოვნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა დასახლებაში საბავშვო ბაღის გახსნა.

ფოცხო-ეწერში ქსელ „სინერგიის“ წარმომადგენელი ორგანიზაციის - „საუნჯის“ ინფორმაციით, ბაღი 13 თებერვალს გაიხსნა. იგი ადგილობრივი და დევნილი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი; გათვლილია 25 აღსაზრდელზე. დასაქმებულია 5 ადამიანი.

წიგნები დევნილებისთვის - საჩუქარი ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისგან

გაზეთ „სინერგიის“ მკითხველებისთვის ცნობილია, რომ მთიან სამეგრელოში, ფოცხო-ეწერის დევნილთა ახალ დასახლებაში, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ მხარდაჭერით, სამეგრელოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯემ“ დევნილი ახალგაზრდებისთვის რესურს-ცენტრი დაარსა. შედეგად, ახალგაზრდებს კომპიუტერის სწავლებისა და ინტერნეტით სარგებლობის საშუალება მიეცათ.

როგორც „საუნჯის“ ხელმძღვანელი - იაგო ფასანძე გვატყობინებს, ამჯერად, ფოცხო-ეწერის რესურს-ცენტრის ბიბლიოთეკას ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა - ირაკლი ღარიბაშვილმა საჩუქრად 700 წიგნი გადასცა, მათ შორის - საკუთარი ბიბლიოთეკიდანაც. მისივე დაპირებით, ფოცხო-ეწერის ბიბლიოთეკა ყველა ახალი გამოცემის ეგზემპლარებს მიიღებს.

ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლების მცხოვრებლები და ა/ო „საუნჯე“, გაზეთ „სინერგიის“ საშუალებით, მადლობას უხდიან ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს დევნილებისთვის სულიერი საზრდოს მიწოდებისთვის.

გიორგი ვოლსკი: „პირველი ამოცანა კონფლიქტების ტრანსფორმაციაა“

„ხელისუფლება კონფლიქტის მხარეებად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ფაქტობრივად, არ მიიჩნევს“

დასასრული

- თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, პრაქტიკულად, არაფერს აკეთებს. თუმცა, მაგალითად, რეინტეგრაციის სამინისტრომ სწორედ აფხაზებისა და ოსებისთვის შემოიღო ე.წ. ნეიტრალური პასპორტები, რომელიც მათ, როგორც ამ უწყებაში ამბობენ, გადაადგილებას გაუადვილებს. ასევე, მისცემს სხვადასხვა სოციალური პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობას. ამის შესახებ რას იტყოდით?

- თავად ნეიტრალური დოკუმენტების იდეა მისასალმებელია. მაგრამ ამას ეფექტი მხოლოდ მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმებების შემთხვევაში ექნება. გულწრფელად მსურს, რომ ეს დოკუმენტები ლეგიტიმურად სცნონ ევროკავშირის ქვეყნებმა, მაგრამ თუკი ეს ცალმხრივად მოხდება, არსებობს დოკუმენტების მიმღებთა მიმართ რეპრესიების განხორციელების საშიშროება. ასეთი დოკუმენტების მასობრივად გავრცელების შესაძლებლობა რომ დავუშვათ კიდეც, იქვე უნდა დავუშვათ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის ადმინისტრირების გაძლიერება. შესაძლოა, აფხაზების ან ოსების მცირე ნაწილმა როგორღაც მოახერხოს ნეიტრალური დოკუმენტების აღება თუნდაც მარტო იმისათვის, რომ თავისი პირადი ინტერესები დაიკმაყოფილოს. ისინი ცუდ დღეში არიან: გამოკეტილები მხოლოდ რუსული პასპორტის ამარა, რომლითაც საზღვრებს გარეთ თავისუფლად ვერ გადიან, რადგან საერთაშორისო სივრცე მათ არ აღიარებს. ისინი საამისოდ უნდა გახდნენ რუსეთის სრულუფლებიანი მოქალაქეები. ამას რომ გადავარჩინოთ, რასაკვირველია, შეიძლება წავეშველოთ ნეიტრალური პასპორტებით, მაგრამ გარეთ გასვლა რომ მოახერხონ კიდეც, უკან დაბრუნებაზე აღარც უნდა იფიქრონ, მათ ადგილს კი აუცილებლად დაიკავებენ ჩამოსახლებულები. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აფხაზებისა და ოსების მიმართ ლოიალურობაა საჭირო.

- ლოიალურობაში რას გულისხმობთ?

- რასაკვირველია, ისინი აფხაზური და ოსური პასპორტებით შორს ვერ წავლენ, მაგრამ მათ საშუალება უნდა მივცეთ, რომ ამ პასპორტებით აქაც შემოვიდნენ. საერთო ჯამში, ნეიტრალური პასპორტები ჭკვიანური იდეაა, მაგრამ ვერ გავრცელდება. მე მაინც მგონია, რომ ეს პროცესი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სრულიად მოუმზადებლად მიმდინარეობს.

გაზეთი „სინერგია“ გამოდის ევროკომისიისა და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ (CR) მხარდაჭერით. პროექტი: „კონფლიქტურ რეგიონებში ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების გზით“.

„სინერგიაში“ გამოქვეყნებულ მასალებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, ყოველთვის არ გამოხატავდეს ქსელის საერთო პოზიციას. ქსელი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზენაეს ღირებულებას.